


Erasmus+ პროექტი PRINTeL

ტრეინინგურსი „ღია საგანმანათლებლო რესურსების შექმნა“

15-17 ოქტომბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორებმა ბორის გითოლენდიამ (სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის დეპარტამენტი), ნათია ქოჩლაძემ (არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ინტერნეტისა და დიზაინის დეპარტამენტი) და ასისტენტ პროფესორმა დარეჯან ცუცქერიძემ (საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიისა და ისტორიის დეპარტამენტი) მონაწილეობა მიიღეს ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებულ ტრეინინგურსში, რომელიც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული Erasmus+ პროგრამის PRINTeL პროექტის ფარგლებში განხორციელდა პროექტის ევროპელ პარტნიორ, ბელგიის ლიუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტში (KU LEUVEN).

ტრეინინგის თემას წარმოადგენდა „ღია საგანმანათლებლო რესურსების შექმნა“. ტრეინინგურსის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, იგი ლიუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ მედიატექნოლოგიების კორპუსში (LIMEL) ჩატარდა, სადაც აკადემიური მიზნების მისაღწევად პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, ისარგებლონ ტექნოლოგიური რესურსით.

ტრეინინგის მონაწილეებს პროექტის პარტნიორი ქვეყნებიდან (საქართველო, სომხეთის რესპუბლიკა, ბელარუსი) მიესალმა პროექტის ტრენერი, პროფ. ვიმ ვან პეტეგემი, რომელმაც ვრცლად ისაუბრა ლიუვენზე, მის საუნივერსიტეტო ტრადიციებზე. ტრეინინგის შესავალი ნაწილი, ასევე, მოიცავდა ტრეინინგის მონაწილეების გაცნობასა და ურთიერთიწარდგენას, რაც აქტიური სწავლების კონკრეტული ტექნიკის გამოყენებით წარიმართა.



გაცნობითი ნაწილის დასრულების შემდეგ, პირველი დღე სრულად დაეთმო „ღია საგანმანათლებლო რესურსების (OER)“ მნიშვნელობას და მისი გამოყენების სარგებლიანობას.

პასუხი გაეცა ისეთ ძირითად კითხვებს, როგორცაა: რას ნიშნავს ღია საგანმანათლებლო რესურსები, რატომ და როგორ უნდა გამოვიყენოთ იგი.

შესაბამისად, ბატონმა ვიმ ვან პეტეგემმა მონაწილეებს გააცნო ღია საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრებები, მისი გამოყენების ძირითადი პრინციპები, სარგებელიანობა, მიზანშეწონილება და გამოყენების შედეგები საგანმანათლებლო პროცესში; აგრეთვე, ღია საგანმანათლებლო რესურსების მოძიების გზები/საშუალებები და მიმოიხილა მასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი კომპონენტი.



მნიშვნელოვანი იყო ვებინარის ფორმატში წარმართული ინტერაქციული სესია, რომელიც ეძღვნებოდა ღია სასწავლო რესურსების ლიცენზირების მნიშვნელობისა და პრინციპების საკითხებს. ცალკე სესია მიეძღვნა მასობრივი ღია ონლაინკურსის (MOOC) გამოყენების საჭიროებას და მნიშვნელობას.



პირველი სამუშაო დღის განმავლობაში ტრენერებმა კურსის მონაწილეებს აუხსნეს ვიდეოს მომზადების ძირითადი საკვანძო საკითხები - სტრუქტურა, შინაარსის შერჩევის პროცესში გასათვალისწინებელი კომპონენტები, ღია სასწავლო რესურსების გამოყენების ტექნიკური მხარეები და ამასთან დაკავშირებით, ლიუვენის კათოლიკური უნივერსიტეტში არსებული პრაქტიკული გამოცდილება.

ტრენინგის პირველი დღის ბოლოს მონაწილეებს მიეცათ დავალება, ჯგუფური მუშაობის შედეგად და ღია სასწავლო რესურსების გამოყენების საშუალებით განესაზღვრათ, სტრუქტურულად და შინაარსობრივად დაემუშავენინათ სასწავლო ვიდეოს თემატიკა, რომელსაც ტრენინგის მეორე დღეს პრაქტიკული სემინარის (ვორქშოპის) ფორმატში წარადგენდნენ, რასაც მონაწილეებმა გუნდური მუშაობის შედეგად წარმატებულად გაართვეს თავი.



ტრენინგის მეორე დღის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა ღია საგანმანათლებლო რესურსების მოძიების, შერჩევის, გამოყენების, გაზიარების; აგრეთვე, სასწავლო ვიდეოს მომზადების პროცესში გასათვალისწინებელი აუცილებელი კომპონენტების დაწვრილებითი შესწავლა. ბელგიელმა ტრენერებმა დეტალურად ისაუბრეს ტექნოლოგიებისა და კერძოდ, ვიდეოს გამოყენების მნიშვნელობასა და შედეგებზე; ვიდეოპროდუქტის შექმნის პროცესსა და მისთვის საჭირო მატერიალურ და ადამიანურ რესურსებზე. ამ ყოველივეს მნიშვნელობის გააზრებისათვის მონაწილეებს შესთავაზეს თეორიული მასალა პრეზენტაციების სახით და პრაქტიკული სავარჯიშოები, მაგალითისათვის ნაჩვენები იქნა ლიუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტში დამზადებული სასწავლო ვიდეო. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ ტრენინგის მონაწილეებმა ამომწურავი პასუხები მიიღეს მათ მიერ დასმულ შეკითხვებზე.


სამუშაო დღის მეორე ნახევარი მთლიანად წარიმართა „ვორქშოპის“ ფორმატით, რომლის ფარგლებშიც ჯგუფებად დაყოფილი მონაწილეები ტრენერების დახმარებით აქტიურად ემზადებოდნენ ტრენინგის დასკვნითი ნაწილისათვის, რაც სასწავლო ვიდეოს დამოუკიდებლად შექმნას ითვალისწინებდა.



აღსანიშნავია, რომ ჯგუფებად დაყოფილი ტრენინგის მონაწილეები მთელი მონდომებით მუშაობდნენ მოსამზადებელ პროექტზე. ტრენერების მიერ შემოთავაზებული აუცილებელი კომპონენტების მიხედვით, დავალება ორი ნაწილისაგან შედგებოდა: სასწავლო ვიდეოს მომზადება ღია საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებით და ვიდეოს მომზადების პროცესის ზედმიწევნითი აღწერა ტრენინგის დროს განვლილი მასალისა და დადგენილი ქრონომეტრაჟს გათვალისწინებით.

მონაწილეებისათვის მოსამზადებელი პროცესი საკმაოდ დატვირთული, საინტერესო და საპასუხისმგებლო აღმოჩნდა. საბოლოოდ, დაზუსტდა ვიდეოს თემატიკა, შინაარსი, მიზნობრივი აუდიტორია, ვიდეოს გამოყენების მიზანი და შედეგები, განისაზღვრა ვიდეოს ტიპი. ღია სასწავლო რესურსების საშუალებით (SLIDESHARE, OER COMMON, CANVA...) მოძიებული იქნა თეორიული და ვიზუალური მასალა.

სასწავლო ვიდეოს კონკრეტული შინაარსისა და მიზნებიდან გამომდინარე, მოხდა მათი გადარჩევა, შერჩევა-დაზუსტება, დამუშავება სპეციალურ პროგრამებში (MOVIE MAKER, CANVA). პარალელურად მონაწილეებმა მოამზადეს დასკვნითი პრეზენტაცია, სადაც აღწერეს სასწავლო ვიდეოს შექმნის ეტაპი შინაარსობრივი და ტექნიკური მხარეების გათვალისწინებით.



ტრენინგის მესამე, დასკვნით დღეს მონაწილეებმა წინასწარ დაგეგმილი განრიგის მიხედვით, ლიუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის მედიატექნოლოგიების კორპუსში (LIMEL), ვიდეოს ჩამწერ სტუდიაში სასწავლო ვიდეო ჩაწერეს.



იმავე დღეს, მომზადებული ვიდეოები და თანდართული პრეზენტაციები თითოეულმა ჯგუფმა აუდიტორიის წინაშე წარადგინა. თავად პრეზენტაციის პროცესი ინტერაქციულ რეჟიმში წარიმართა, მონაწილეებმა და ტრენერებმა შეაფასეს წარმოდგენილი პრეზენტაციები. დადებითი შეფასებებისა თუ მიღებული შენიშვნების საფუძველზე სამომავლო აქტივობებისათვის გაიცა რეკომენდაციები. შეჯამდა სამდღიანი მუშაობის შედეგები.

ტრენინგკურსის მონაწილეებმა მადლობა გადაუხადეს ტრენერებს გაწეული შრომისათვის.

დასკვნით ეტაპზე, ტრენინგის თითოეულ მონაწილეს გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატი „ღია საგანმანათლებლო რესურსების შექმნა“ (The production of open Educational Resources). თითოეულმა მონაწილემ განვლილი კურსის ფარგლებში დააგროვა ერთი კრედიტი.

დატვირთული სამუშაო გრაფიკი ითვალისწინებდა კულტურულ ღონისძიებებსაც.

აღსანიშნავია, რომ ტრენინგებზე მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას სტუ-ს ახალგაზრდა პროფესორები თავიანთ ქართველ კოლეგებს გაუზიარებენ ტექნიკურ უნივერსიტეტში ორგანიზებული ტრენინგების საშუალებით, რომელიც მიზნად ისახავს სტუ-ში ინოვაციური პედაგოგიკის ელემენტების პოპულარიზაციას.

PRINTeL პროექტთან (პროექტი PRINTeL - „ცვლილება საკლასო ოთახში: ინოვაციური სწავლისა და სწავლების მხარდაჭერა სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის გააქტიურებისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“) დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ [PRINTeL პროექტის ოფიციალური ვებგვერდი](#) და სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის [ვებგვერდი](#).